საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსა და სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს - „საქპატენტს“ შორის

ქ. თბილისი

20 ნოემბერი, 2024 წ.

ერთი მხრივ, **სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო** (შემდგომ – სააგენტო), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის, ირაკლი ლექვინაძის სახით და, მეორე მხრივ, **სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“** (შემდგომ – საქპატენტი), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის სოსო გიორგაძის სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, სარგებლობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და თანხმდებიან საერთო ინტერესების სფეროში სხვადასხვა აქტივობის ერთობლივად განხორციელების თაობაზე და, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ხელს აწერენ წინამდებარე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია კონკურენციის, ანტიდემპინგური და მომხმარებლის დაცვის პოლიტიკისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პოლიტიკის განხორციელების პროცესში მხარეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება.

მუხლი 2. თანამშრომლობის ფორმები

ზემოხსენებული მიზნებიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან, წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში, ერთობლივი ძალისხმევით:

2.1 ხელი შეუწყონ ინტელექტუალური საკუთრების სფეროში კონსულტაციებისა და ექსპერტიზის საკითხებზე გამოცდილების გაცვლას, რათა ორივე მხარე მუდმივად იყოს ინფორმირებული მიმდინარე ტენდენციებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესახებ.

2.2 დაგეგმონ მხარეთა ექსპერტებს შორის შეხვედრები ან/და კონსულტაციები ორმხრივი ინტერესის სფეროს კონკრეტულ საკითხებზე ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებით.

2.3 ერთობლივად განხორციელებული კამპანიების და ღონისძიებების მეშვეობით, ხელი შეუწყონ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მნიშვნელობისა და ბიზნეს სექტორში კონკურენციის, ანტიდემპინგურ და მომხმარებლის უფლებების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

2.4 მონაწილეობა მიიღონ მხარეთა მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში, სემინარებსა და სხვა ღონისძიებებში.

2.5 ინტერესისა და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყონ შესაბამისი სივრცისა და ტერიტორიის მოწყობა წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად.

მუხლი 3. პროგრამების განხორციელება

3.1 მხარეები, ძირითადი მიმართულებების მიხედვით, კონკრეტულ ღონისძიებებს განსაზღვრავენ ცალკეული შეთანხმების ფარგლებში.

3.2 მემორანდუმით გათვალისწინებული საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის, თანამშრომლობის მიმდინარეობისა და შედეგების განხილვის მიზნით, შესაძლებელია სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, საკონტაქტო პირების გამოყოფა ორივე მხარის მიერ და ცალკეული შეთანხმებების გაფორმება.

3.3 მემორანდუმით გათვალისწინებული ერთობლივი პროგრამებისა და სხვა ცალკეული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით.

3.4 დაუშვებელია წინამდებარე მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება, ან შეწყვეტა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე.

მუხლი 4. სხვადასხვა დებულება

4.1 წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ წერილობითი ფორმით შეწყვეტამდე.

4.2 მემორანდუმის შეწყვეტის შესახებ მხარემ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს მემორანდუმის შეწყვეტამდე 1 თვით ადრე.

4.3 წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მხარეთა შორის კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4.4 წინამდებარე მემორანდუმში, მხარეთა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, შესაძლებელია შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები, რაც მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

4.5 მემორანდუმი შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

სსიპ საქართველოს
კონკურენციისა და
მომხმარებლის დაცვის სააგენტო

ს/კ: 205310938
მის.: ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზირი - 154

ირაკლი ლექვინაძე
თავმჯდომარე

სსიპ საქართველოს
ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი"

ს/კ: 203831363
მის.: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5

სოსო გიორგაძე
თავმჯდომარე